

მომხმარებლის წესები და პირობები (დაბრუნებისა და მიწოდების პოლიტიკა)

ძვირფასო მომხმარებელო, მადლობა, რომ აგვირჩიეთ ჩვენ. წინამდებარე მომსახურების წესები და პირობები წარმოადგენს იმ საბაზისო დოკუმენტს, რომელსაც ემყარება მომხმარებლისა და შპს ითენის სამართლებრივი ურთიერთობა. შესაბამისად, დათანხმებამდე, აუცილებელია, სიღრმისეულად გაეცნოთ მას. შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით დაუყოვნებლივ.

მომხმარებლის წესები და პირობები, მათ შორის, დაბრუნებისა და მიწოდების პოლიტიკა, ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს კომპანიის კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც განთავსებულია ამავე გვერდზე.

აღნიშნულ ვებგვერდზე რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემდეგ, ისევე, როგორც შემოთავაზებული სერვისით სარგებლობის დროს, თქვენ აცხადებთ თანხმობას წარმოდგენილ წესებსა და პირობებზე, ისევე, როგორც ეთანხმებით კომპანიის კონფიდენციალურობის, დაბრუნებისა და მიწოდების პოლიტიკას. კომპანიის ცნების ქვეშ იგულისხმება შპს ითენი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში წარმოდგენილი იქნება სახელწოდებით - კომპანია ან/და ითენი.

1. მომხმარებლის წესები და პირობები

1.1 ითენის სერვისით სარგებლობის დროს, მომხმარებელი, გამოთქვამს თანხმობას, ითენის პლატფორმის საფუძველზე, შემოთავაზებული და მისთვის სასურველი ბიზნეს-პარტნიორებიდან, ანაზღაურების საფუძველზე, მოითხოვოს შეკვეთის გაფორმება და შეკვეთის მიღება, იმ მისამართზე, რომელსაც მომხმარებელი თავად მიუთითებს.

1.2 ითენის გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს შემოთავაზებული ბიზნეს-პარტნიორების მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმა და ამ მიზნით, გააგზავნოს შეკვეთა ბიზნეს-პარტნიორთან. მომხმარებლის მიერ შედგენილ შეკვეთაში მიეთითება ის ობიექტი, რომლის მიღებაც მას სურს, ობიექტის ფასი და სხვა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მასთან.

1.3 შეკვეთის გაფორმებამდე მომხმარებელი ვალდებულია, აირჩიოს ანაზღაურების ანგარიშსწორების ფორმა. ანაზღაურების ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია კურიერის მიერ შეკვეთის მისთვის მიტანისა და მის მიერ შეკვეთის ჩაბარების შემდეგ, გადასცეს კურიერს აღნიშნული თანხა. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია, შეკვეთის გაფორმებამდე შეიყვანოს მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშის მონაცემები შემოთავაზებულ გრაფაში. ამით, მომხმარებელი თანხმობას აცხადებს, რომ მოხდეს მისი ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა იმ მოცულობითა და ოდენობით, რაც განსაზღვრულია შეკვეთაში, შეკვეთის განთავსების შემდეგ.

1.4 მას შემდეგ, რაც მომხმარებელი განათავსებს შეკვეთას, მის მიერ არჩეულ ბიზნეს-პარტნიორს მისდის ინფორმაცია შეკვეთის შესახებ. ბიზნეს-პარტნიორის მიერ შეკვეთის

მიღების (დადასტურების) შემთხვევაში, მომხმარებელს და ბიზნეს-პარტნიორს შორის ხდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნულ ურთიერთობაში, ნასყიდობის ობიექტის/შეკვეთის ობიექტის მომხმარებელამდე მიტანას უზრუნველყოფს ის კურიერი, რომელსაც მოიძიებს ითენი (ითენის სერვისით მომსახურება). შესაბამისად, კომპანია უშუალოდ არ ახორციელებს პროდუქტის დამზადებას და არც მიწოდებას. პროდუქტს „ამზადებს“ ის ბიზნეს-პარტნიორი, რომელსაც აარჩევს მომხმარებელი, ხოლო მასთან, აღნიშნულ პროდუქტს მიიტანს კურიერი.

2. ითენის სერვისით სარგებლობა

2.1 მას შემდეგ, რაც მომხმარებელი დაეთანხმება მომხმარებლის წესებსა და პირობებს, იგი, ამავდროულად, აღნიშნული ქმედების განხორციელების გზით გამოთქვამს სურვილს, ითანამშრომლოს კომპანიასთან და ისარგებლოს ითენის სერვისით. შესაბამისად, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების თვალსაზრისით, მომხმარებლის წესებსა და პირობებს ენიჭება განსაკუთრებული ყურადღება.

2.2 ითენის სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია, რომ მომხმარებელმა შექმნას საკუთარი ანგარიში ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გზით. მომხმარებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა იმ ინფორმაციის სინამდვილეზე, რასაც იგი რეგისტრაციის დროს ან/და ავტორიზაციის განხორციელების შემდეგ ნებისმიერ ეტაპზე მიუთითებს.

2.3 ითენის სერვისით სარგებლობის დროს განხორციელებულ ტრანზაქციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს. კერძოდ, მომხმარებელი ვალდებულია, მიუთითოს ის ანგარიშის ნომერი და შესაბამისი მონაცემები, რომელიც მას ეკუთვნის ან/და რომელსაც იგი კანონიერად ფლობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება მას.

2.4 იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებლის ანგარიშზე წვდომა აქვს სხვა პირს, მაშინ, იმ ნებისმიერ ზიანზე, რომელიც შეიძლება მომხმარებელს მიადგეს, პასუხისმგებელი ვერ იქნება კომპანია. კომპანია უფლებამოსილია, სათანადო შეტყობინების მიღების შემდეგ, გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ასეთი ანგარიშის დროებით გაუქმება.

2.5 შესაბამისად, 2.4 პუნქტის გათვალისწინებით, მომხმარებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რომელიც უზრუნველყოფს მისი პირადი ანგარიშის დაცვას. კომპანია არ არის ვალდებული, აუნაზღაუროს მას ის ზიანი, რომელიც მომხმარებელს ნებისმიერი სხვა პირის არამართლზომიერი მოქმედების შედეგად მიადგება.

2.6 ითენის სერვისით მომსახურების გასამარტივებლად, ისევე, როგორც მომხმარებელსა და კომპანიას შორის ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად, მომხმარებელი უფლებამოსილია, დაგვიკავშირდეს მითითებულ საკონტაქტო ნომერზე ან/და ისარგებლოს ფუნქციით - „მხარდაჭერა“.

2.7 ითენის სერვისით მომსახურების გასაუმჯობესებლად, კომპანია უფლებამოსილია, მომხმარებლის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გააგზავნოს სარეკლამო შინაარსის წერილები, ისევე, როგორც ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საბონუსე სისტემის გამოყენებას ეხება.

2.8 ითენის სერვისით მომსახურების დროს, კომპანია უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს უარი თქვას შეკვეთაზე ან/და გააუქმოს მიმდინარე შეკვეთა, რაც გულისხმობს შეკვეთის მიწოდებაზე უარის თქმასაც.

2.9 ითენის სერვისით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია უფლებამოსილია, მოახდინოს მომხმარებლის წესებისა და პირობების შეცვლა, რაც ეცნობებათ გამოქვეყნდება ვებ-გვერზე.

2.10 ითენის სერვისით მომსახურების დროს შეკვეთის მინიმალურ ღირებულებას წარმოადგენს (...) ლარი.

2.11 ძირითად შემთხვევაში, შეკვეთის მიწოდება განხორციელდება შეკვეთის მიღებიდან 40 (ერთი ორმოცი) წუთის განმავლობაში. აღნიშნული დრო შეიძლება გაიზარდოს ობიექტური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია უგზოობასთან, ჰიდროლოგიურ მდგომარეობასთან ან ნებისმიერ ისეთ გარემოებასთან, რაც ართულებს შეკვეთის დროულად მიწოდებას.

2.12 მომხმარებლის წესებსა და პირობებზე თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში, მომხმარებელი, აგრეთვე, ეთანხმება იმ კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს კომპანია.

3. დაბრუნებისა და მიწოდების პოლიტიკა

3.1 შეკვეთის განთავსების დროს, მომხმარებელი იღებს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ დაახლოებით რა პერიოდში მოხდება მისთვის შეკვეთის მიწოდება. დროის აღნიშნული პერიოდი შეიძლება გაიზარდოს, 2.11 პუნქტის გათვალისწინებით, ობიექტური გარემოებების დადგომის დროს.

3.2 შეკვეთის განთავსებისა და მისი ბიზნეს-პარტნიორის მხრიდან დადასტურების შემდეგ, კურიერს ეგზავნება ინფორმაცია შეკვეთასთან დაკავშირებით. მიწოდებას ახორციელებს ის კურიერი, რომელთანაც შესაბამისი ხელშეკრულება უდევს კომპანიას.

3.3 ისეთ შემთხვევაში, თუკი მიწოდების ხანგრძლივობა იზრდება 3.1 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების გარეშე, მომხმარებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ასეთ დროს, კომპანია ვალდებულია გააუქმოს შეკვეთა და დაუბრუნოს თანხა მომხმარებელს. ყველა სხვა შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ გააუქმოს შეკვეთა.

3.4 მომხმარებელი ვალდებულია, მას შემდეგ, რაც კურიერი შეკვეთის ობიექტს მიუტანს მას, შეამოწმოს მის მიერ შეკვეთილი ობიექტი, მოახდინოს მისი იდენტიფიცირება და თუ ეთანხმება პროდუქტის ხარისხს, ჩაიბაროს შეკვეთა. შეკვეთის ჩაბარების შემდეგ იგი ვალდებულია, ნაღდი ანგარიშსწორების არჩევის შემთხვევაში, მისცეს კურიერს თანხა სრულად.

3.5 იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გარეგნული დათვალიერების შედეგად შეემჩნია პროდუქტის ხარვეზი, მაგრამ, შეკვეთის გახსნის შემდეგ პროდუქტი აღმოჩნდება შეუსაბამო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტთან, კომპანია ვალდებულია, ობიექტური გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, მომხმარებლის ნების გათვალისწინებით, ან დაიბრუნოს შეკვეთის ობიექტი და მომხმარებელს აუნაზღაუროს საფასური ან ჩაანაცვლოს შეკვეთის ობიექტი ანალოგიური პროდუქტით.

3.6 თუ მომხმარებლისთვის შეკვეთის ობიექტის ნაკლი ცნობილი იყო და მან მაინც მიიღო შეკვეთა პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ მომხმარებელს არ წარმოემოხა მოთხოვნის უფლებები ამ ნაკლის გამო.

3.7 პრეტენზია გამოთქმულ უნდა იქნეს როგორც კურიერთან, ისე, კომპანიასთან კომუნიკაციის შედეგად, რაც გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით (მაგალითად, ფოტო-ვიდეო მასალით).

4. ინფორმაცია პროდუქციასთან დაკავშირებით

4.1 პროდუქციასთან დაკავშირებული ის ინფორმაცია, რომელიც თავსდება ითენის პლატფორმაზე, მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

4.2 ვებ-გვერდზე განთავსებული პროდუქციის ფოტო-სურათები შესაძლებელია, ზუსტად არ ასახავდეს პროდუქტის რეალურ მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში, განსხვავება უნდა იყოს მინიმალური.

4.3 ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია პროდუქციის ზომა/წონასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, ზუსტად არ ასახავდეს პროდუქტის რეალურ ზომა/წონას. ასეთ შემთხვევაში განსხვავება უნდა იყოს მინიმალური.

4.4 შესაძლებელია, რომ კონკრეტული პროდუქტი აღარ ჰქონდეს ბიზნეს-პარტნიორს მარაგში, შესაბამისად, ასეთი შემთხვევის დადგომის დროს, მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, მის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე, შესაძლებელია, მოხდეს როგორც სრულად შეკვეთის, ისე შეკვეთის კონკრეტული კომპონენტის გაუქმება. კონკრეტული კომპონენტის გაუქმების შემთხვევაში, მომხმარებელს უკან დაუბრუნდება ამ კონკრეტული კომპონენტის ღირებულების შესაბამისი თანხა.

4.5 ბიზნეს-პარტნიორი ვალდებულია, ისე შეფუთოს პროდუქტი, რომ პროდუქტი ვარგის, ობიექტურად მოსალოდნელ მდგომარეობაში მივიდეს მომხმარებლამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება ბიზნეს-პარტნიორს.

4.6 შესაბამისად, მომხმარებლის წესებსა და პირობებზე თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში, მომხმარებელი თანხმობას აცხადებს იმაზე, რომ კომპანია არ არის ვალდებული აანაზღაუროს სხვა ნებისმიერი ზიანი, გარდა იმისა, რაც მითითებულია მომხმარებლის წესებსა და პირობებში.

5. მომხმარებლის წესებსა და პირობებში ცვლილებების/დამატებების შეტანის წესი

5.1 კომპანია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოახდინოს ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა მომხმარებლის წესებსა და პირობებში. აღნიშნულ შემთხვევაში, მომხმარებელს უნდა ეცნობოს ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ. ცნობა მოხდება ცვლილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით.

5.2 მომხმარებელი უფლებამოსილია, იმ შემთხვევაში, თუკი იგი არ ეთანხმება მომხმარებლის წესებსა და პირობებს, მოითხოვოს ანგარიშის გაუქმება. აღნიშნული უფლება მას აქვს ნებისმიერ დროს, მიუხედავად იმისა, დადგა 5.1 პუნქტში განსაზღვრული შემთხვევა თუ არა.

6. მარეგულირებელი სამართალი/კომპეტენტური სასამართლო

6.1 წინამდებარე პირობების საფუძველზე მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოების გადაწყვეტა წარმოებს მხარეთა მოლაპარაკების გზით, ურთიერთშეთანხმების მიღწევის მიზნით;

6.2 აღნიშნული პირობების 6.1 პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში დავასთან დაკავშირებით ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები იტოვებენ უფლებამოსილებას და გამოხატავენ ექსკლუზიურ ნებას საქართველოს სასამართლოს კომპეტენციას დაუქვემდებარონ აღნიშნული დავა;

6.3 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება/დავა პირველი ინსტანციის წესით უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ;

6.4 სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შეწყვეტა, შესრულება, ბათილობა/მისი შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხოლოდ საქართველოს სამართლით;

7. საკონტაქტო ინფორმაცია

ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით. აქ გავალურჯოთ და რომ დააჭერს კონტაქტის გვერდზე გადავიდეს.